

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ექვსმა თანამდებობის პირმა ქონებრივი დეკლარაცია არასრულად შეავსო. დარღვევებიდან 3 შემთხვევაში თანამდებობის პირებმა ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობა არ მიუთითეს. 2 შემთხვევაში გამოვლინდა უზუსტობები თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, 1 შემთხვევაში კი თანამდებობის პირს კუთვნილი წილების მართვის უფლება სხვა პირისთვის არ გადაუცია, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თანამდებობის 20 პირის ქონებრივი დეკლარაცია 3-6 დეკემბერს შეისწავლა.

## მინდია დიასამიძე

ხელვაჩაურის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



მინდია დიასამიძეს 2018 წლის 22 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) აღნიშნული აქვს, რომ შპს „ჭიდი-ჭკუთის“ 50%-იანი და „მდა-007“-ის 100%-იანი წილების მფლობელია. დიასამიძეს აღნიშნული წილების მართვის უფლება სხვა პირისთვის არ გადაუცია, როგორც ამას საჯარო დანებსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლი მოითხოვს.

მინდია დიასამიძემ 2017 წლის 10 ოქტომბერს „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ 600 ლარი შესწირა.

## თეიმურაზ დუმბაძე

ხელვაჩაურის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე



თეიმურაზ დუმბაძეს 2018 წლის 29 სექტემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული რძლის, ნათია ბერიძის სამეწარმეო საქმიანობა. ნათია ბერიძე დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „GOLD-555-ში“. 2012-2013 წლებში ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსმა და ბათუმის სასპორტო სკოლამ აღნიშნულ კომპანიასთან გამარტივებული შესყიდვის 12 ხელშეკრულება გააფორმეს ჰიგიენის ნივთების შესაძენად. ჯამში კომპანიამ 6 000 ლარამდე შემოსავალი მიიღო.

## კახაბერ ფუტკარაძე

ხელვაჩაურის მერის მოადგილე



კახაბერ ფუტკარაძეს 2018 წლის 21 ივლისს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული მამის, ოთარ ფუტკარაძის სამეწარმეო საქმიანობა. იგი 100%-იან წილს ფლობს შპს „აჭარა 2017-ში“.

## ტარიელ ნაკაშიძე

ხელვაჩაურის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



ტარიელ ნაკაშიძეს 2018 წლის 6 სექტემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული საკუთრებაში არსებული 423 კვ.მ მიწის ფართობი სოფელ [თოდოგაურში](#).

## თენგიზ ქიქავა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო განვებისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი



თენგიზ ქიქავას [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული შვილის, ედნარ ქიქავას სამეწარმეო საქმიანობა. ედნარ ქიქავა 34%-იან წილს ფლობს შპს „მეგაპოლისში“, ასევე, 25%-იან წილს - შპს „კოლხში“.

## ქეთევან დევაძე

ხელვაჩაურის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი



ქეთევან დევაძის 2018 წლის 25 სექტემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მეუღლის უძრავი ქონების მონაცემები არ ემთხვევა საჯარო რეესტრში არსებულ მონაცემებს. კერძოდ, დეკლარაციაში მითითებულია, რომ ელდარ მამულაიშვილი ბათუმში 76 კვ.მ ფართს ფლობს, რეესტრში მითითებული [ფართი](#) კი 41,8 კვ.მ-ს შეადგენს. ასევე, დეკლარაციაში ელდარ მამულაიშვილის სახელზე მითითებული 1800 კვ.მ მიწა მახინჯაურში რეესტრში არ იძებნება.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს შეისწავლოს აღნიშნული პირების ქონებრივი დეკლარაციები და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.